


ნიაგა

გერმანული
ბიზნისი

გამოცემის XXXX წელი, ფასი 20 კპ.

არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ მანქანების მნიშვნელოვანი რაოდენობა კონსტრუქციებისა და საბჭოთა მეურნეობებში მოცდენილია ცუდი რემონტისა და მოვლის, მექანიზატორთა კადრების დაბალი კვალიფიკაციის გამო. უნდა გავაუმჯობესოთ მექანიზატორთა კადრების მომზადება, მკაცრი წესრიგი დავამყაროთ ტრაქტორების, კომბაინებისა და ყველა სხვა მანქანის ექსპლუატაციასა და რემონტში. შეუწყნარებლად მოვეკიდოთ იმ მუშაკებს, რომლებიც არ უფრთხილდებიან ტექნიკას, ურიგდებიან მანქანებისა და მოწყობილობის მოცდენას.

(**ნ. ს. ხრუშჩოვის** საბოლოო სიტუვიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმზე)



—მეგობრებო, არ გრცხვენიათ, რომ ამ გახურებულ მუშაობის დროს ჩრდილში წამოწოლილ-ხართ?!
—რა ვქნათ, ძმაო, ისეთი რემონტი ვაგვიკეთეს, რომ მინდვრამდე ძლივს მოვათრით სული!

ა. კანაკიძე 62

კუნძულები, სტუდენტები!

სტუდენტებსაც აქვთ თავიანთი ქალაქი და მერე როგორი! შორიდან წუნს ვერ უნახავ, მით უმეტეს, მეთოხმეტე კორპუსს, ანუ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელს, რომელიც, სხვა კორპუსებთან შედარებით, პრიალა კაპიკიანივით ბრწყინავს.

ამ კორპუსის ქვედა სართულის ზოგიერთ ოთახში წვიმა სწორედ მაშინ მოდის, როცა ზემო სართულზე იატაკს წმენდენ. ჩამოდის ნარეცხი წყალი და არის ერთი მიღე-მოღეტი.

კორპუსის მოზინადრენი არც სხვა კომპორტით არიან განებებულნი. თითქმის მთელმა ზამთარმა ისე განვლო, რომ რადიატორებს სახსრები არ გათბობიათ.

ოთახები საავადმყოფოს ბალატა გეგონებთან, რადგან, სიცვიის მიუხედავად, სტუდენტებს წიგნებისათვის ხელი არ გაუშვიათ და ლოგინში განაგრძობენ კითხვას.

ყოველ სართულს ოთხი ონკანი აქვს, ორი ერთ მხარეზე, ორი მეორეზე. ყოველ მხარეზე თითო ონკანი მოშლილი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი მოშლილია და წვეთი წყალიც არ მოდის, მეორე მოშლილია და იქიდან მუდმივი შადრევანი მოჩქევს.

თბილისის წყალსადენის მეშვიდე საექსპლოატაციო კანტორამ რომ იცოდეს, როგორ უსარგებლოდ იღვრება აქ წყალი, ან შეაკეთებდა ონკანებს, ან დააჯარიმებდა ვინმეს, როგორც საჭიროა და როგორც ჯერ არს.

კორპუსში ერთი უშველებელი გრძელი ოთახია, მაგიდებზე წითელი მატრიაა გადაფარებული, ეს არის მთელი მისი მოწყობილობა. იქ არც გაზეთებია, არც ჟურნალები, არც წიგნები, არც რადიო, არც ტელევიზორი, არც ჰადრაკი და მაინც, რატომღაც, ამ ოთახს წითელ კუთხეს ეძახიან. კარგი იქნებოდა ფანჯრის მინები მაინც ჩაესვათ, მაგრამ გენტილაციის ეს უბარი სა-

შუალება დერეფნებსა და ოთახებშიც ფართოდაა გამოყენებული.

სტუდენტებში სტუდენტებს ლოგინის თეთრულს ათ დღეში ერთხელ უცვლიან, მაგრამ თეთრულად, არ ვიცით და, რატომღაც, ბალიშისპირი არაა მიჩნეული. ამასთან ერთად, თუ დანიშნულ საათზე სტუდენტმა არ გამოაცვლევინა თეთრული, მერე კიდევ უნდა იცადოს მთელი ათი დღე.

პუნქტუალობა, სტუდენტებო, პუნქტუალობა!



პურის დაკვლევის უბრალო მეთოდი

თბილპურვაჭრობის მაღაზია 75-ა სტუდენტების № 9-10 კორპუსებიც უკანა მოთავსებული.

მარაგდება ქართული პურით, მაღალი პურით, წითელი პურით, შავი პურით, შაქრით, ფეკილით, ორცხოხილათი და... უცნაური გრაფიკით.

მაღაზია 7 საათზე იკეტება...

ჰოდა, სწორედ მაღაზიის დაკეტვამდე რამდენიმე წუთით ადრე მოაქვთ ახალთახალი, ფუნჩულა და სურნელოვანი პური—ასეთია გრაფიკი.

მაღაზია დაიკეტება და ჩაიკეტება პურიც.

გახმება, გაშეშდება, გახკინდება...

გრავიკის მიხედვით, დილის 7 საათზედაც უნდა მოვიდეს პური, მაგრამ ამჯერად სიზუსტეს არ იცავენ, აცხადებენ, სისუსტეაო სიზუსტე, 10-11 საათზე მოხრიგინდება მანქანა და მოიტანს პურს ჩვენი არსობისას.

დაიწყება ახალი პური ძველი პურის გვერდით.

სტუდენტებს, საოცარი კია, მაგრამ, რატომღაც, ახალი პური ურჩევნიათ ძველს. ისევ ძველდება ძველი პური, ხმება, ხკინდება, შეშდება და, ერთის სიტყვით, ისეთი ხდება, იმ უკუღმართი გრაფიკის შემდგენელს რომ ჩასცხო თავში, სულს გააფრთხობინებს.

როგორც კარგი ცხოვრება ჯობია ცუდს, ისევე ახალი პური ჯობია ძველს. ესეც არ იყოს, პურს არსობის პურს ეძახიან და არა სულის გაფრთხობინებისას.

როდის უნდა შეიგნოთ ეს, პურადი ერის თბილპურვაჭრობის მესვეურებო!

ალალ-მარტალნი

სტუდენტთა ქალაქს გააჩნია საავადმყოფო და მას ქ. თბილისის მეექვსე რაიონული საავადმყოფო ჰქვია.

დადგენილი წესის თანახმად, აქ სწორედ სტუდენტებს უნდა უმკურნალონ და ამ წესს ისე დაბეჯ-

ითებით იცავენ, რომ ერთ დღეს მანქანის უეცარი დამუხრუჭების შედეგად თავგახეთქილი კაცი რომ მოვიდა საავადმყოფოში...

— სტუდენტები გაქვთ?—კითხეს.

— არა.

— მატრიკული?

— არა.

— სტუდენტი ხართ?

— არა.

მან დაბეჯითებით მოითხოვა მიეღოთ, რეგისტრატორმა დაბეჯითებით იუარა... ბოლოს, როგორც იქნა, შევიდა მის მღვთმარობაში და შევიდა ნევროპათოლოგ მარიამ სულაქველიძესთან. ნევროპათოლოგმა ნერვიულად უბასუხა: „აბა, გენაცვა, თუ სტუდენტი არ არის, წავიდეს თავის რაიონში“. რეგისტრატორი ახტა-დახტა და ბოლიკლინიკური განყოფილების გამგე ნიკოლოზ დადუნაშვილს მიადგა. დადუნაშვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: „თუ სტუდენტი არ არის“, წავიდეს, საიდანაც მოსულა, ჩვენ, რა, უსაქმური გვენახა?“ რეგისტრატორი ახლა მთავარ ექიმს ეახლა: „ბასუსისმგებელი მუშაკია, თავი აქვს გახეთქილი და მიღებას ითხოვს და მივიღოთ თუ არაო“. მთავარმა ექიმმა ნება დართო: „ნახეთ, თუ ნამდვილად ბასუსისმგებელი მუშაკია და მიიღეთ“.

იქნება თქვით, ეს ხომ უგულობააო, მაგრამ, სამაგიეროდ, მართლმაც ხომ არიან, წესის თანახმად, სტუდენტი უნდა მიიღონ და სტუდენტს უნდა უმკურნალონ, მაგრამ...

... მაგრამ, ვთქვით და კიროვის რაიონის სახანძრო რაზმის მანქანა კალინინის რაიონში გამოჩნდა

რადაც ბედად და იქ რადაც ედად სახლს ცეცხლი წაეცდა.

— ერთი ეს მოთხარით.

ჩააქროს კიროვის რაიონის სახანძრო რაზმმა კალინინის რაიონში გაჩენილი ხანძარი, თუ უცადოს ზემდგომი ორგანოების განკარგულებას და მანამდე იღვეს გულხელდაკრეფილი, ვიდრე მთელი სახლი გადაიბუგებოდეს?

ჩვენი გამოუცდელი აზრით, უნდა ჩააქროს. და ექიმმაც გახეთქილ თავს მალამო უნდა დაადოს უპირველესად.

თბილისის სახალხო დამცველი
ზევა ჭანსაყბით თავს
სახლში და პაქაძითაი
მისვლა
აქრძაძე

განცხადებები

სტუდენტებში იზრდება და ვაჟკაცდება მომავალი აგრონომები, მექანიზატორები, ისტორიკოსები, ფიზიკოსები, ქიმიკოსები და, რა თქმა უნდა ჟურნალისტებიც და ენათმეცნიერებიც, მაგრამ რა თვალში უნდა შეხედოს მომავალ ენათმეცნიერებსა და ჟურნალისტებს სასაღიფისადმინისტრაციამ, როდესაც ასეთ მარგალიტებს სთავაზობს მათ?

კარგი იქნება განმარტონ, რა არის ზედა ტანსაცმელი, პალტოა, კოსტუმი, პერანგი თუ მაისურა?

საიდან მოიტანეს სიტყვა თავსარქმელი, იქნება რუსთაველიდან, სადაც ნათქვამია: „ვეფხისტყავეისა ქუდივე იყო სარქმელი თავისაო“.

ჩინებული განცხადება! ასე ქართულ ენას საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც არ არიან დაუფლებულნი. მერე და როგორი გაფრთხილება.

თუ ფული ან რაიმე ნივთი ჩაგრჩათ ჯიბეში, დაემშვიდობეთ სამუდამოდ. გინდ დაგკარგვიათ რაიმე და გინდ „მეგარდერობზე“ ჩავიბარებიათ, ალბათ, სულ ერთია.

აი მარგალიტი... როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

გაგო.

სასაღიფის დანაჯარაში
ზევა ჭანსაყბით თავს
სახლში და პაქაძითაი
მისვლა
აქრძაძე

სასაღიფის დანაჯარაში
ქუდივე, პაქაძითაი და პიუაძითაი
მისვლა
აქრძაძე

ბუნების წარმტაცი პეიზაჟი გადაიშლება თქვენს თვალწინ, როცა წყალტუბოს რაიონის სოფელ მალაკს ესტუმრებით. შესანიშნავია ამ სოფლის მიწაწითლის კოლმეურნეობის ბალ-ვენახები, ჩაის პლანტაციები და, რაც მთავარია, მშრომელი ადამიანები. მრავალი მოწინავე მესიმინდე, მეჩაიე მებოსტნე და მწველავი ჰყავს კოლმეურნეობას, რომელთა თავდადებად უმაღლესი შრომამ სახელი გაუთქვა მალაკელებს.

აგერ, ისინი შრომის ფერხულში არიან ჩაბმულნი, სოფლის გზაზე კი ვიღაც მობარბაცებს და ჩახლეჩილი ხმით გააკვივს:

ისე როგორ წავბდებით,
ჩაის ჭიქით დავთვრებით.
მომიტანეთ ყანწებით,
დავთვრები და დავწვებით.



ეს სოფელ მალაკის ცნობილი უსაქმური რეზო გედევანის-ძე ლურჯუმელია ბრუნდება ნაქეიფარი და ამცნობს თანასოფლელებს ჩაის ჭიქებთან გამართული უთანასწორო ბრძოლის შედეგებს.

„კვიცი გვარზე ხტისო“, ეს ანდაზა პირდაპირ რეზო ლურჯუმელიაზე ნათქვამი, — ამბობენ აქაური კოლმეურნეები. ერთ დროს რეზოს მამამ, გედევან ლურჯუმელიამ, მალაკის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობას ყალბი საბუთი გამოსტყუა და კაი 350 ათასი მანეთი ჩაიჩხრიალა ჯიბეში. მაგრამ გაუგეს და 10 წლის ციხე მიუსაჯეს. რეზომ მამის თბილის შუაფარა თავი და რამდენიმე წლის შემდეგ მემადაროელთა ქალაქ ჭიათურას ესტუმრა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომით, რომელშიც შავით თეთრზე ეწერა, რომ რეზო ლურჯუმელიამ დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტის დაუსრულებელი განყოფილების ფილიალი.

ჭიათურის პროკურატურაში გამომძიებლის თანამდებობით დაიწყო მისი, როგორც იურისტის



კარიერა და აქვე დამთავრდა მისი საქმის გამოძიებით.

რეზო ლურჯუმელია ქრთამის ალბისათვის მისცეს პასუხისმგებლობა. მასთან ერთად საბრალდებლო სკამზე იჯდა მისი მეორე ნახევარი ნ. გაფრინდაშვილიც. ვინაიდან ქრთამის ალბის „მძიმე უღელს“ ერთად ეწეოდა ცოლ-ქმარი, სასამართლოს მიკერძოება არ გამოუჩენია და ექვს-ექვსი წლის პატიმრობა მიუსაჯა თითოეულს.

აქვე გამოიჩინა, რომ რეზო ლურჯუმელიას სულაც არ შეუწუხებია თავი იურიდიული მეცნიერების დაუფლებით და იურისტის ყალბი დიპლომი ფულით იყიდა.

გავიდა წლები და რეზო ლურჯუმელია კვლავ მოველინა სოფელს. მალაკელებს ეგონათ, რომ რეზო ახლა მაინც დაადგებოდა პატიოსანი ცხოვრების გზას. მაგრამ მან შრომას სპეკულანტობა არჩია. უხეშად და უდიერად ეპყრობოდა ცოლსა და შვილებს. მალაკელებმა ტარიელმა ისე გაივარჯიშა ხელი მათ ცემაზე, რომ მალე სხვებზეც გადავიდა და მოწინავე მესიმინდე რომან ჯავახაძე მისი მუშტების წყალობით 5 დღეს იწვა საავადმყოფოში.

ცოლმა ვერ გაუძლო გამუდმებულ ცემა-ტყუპას, მიატოვა ოჯახი და ჭიათურაში დებთან შეაფარა

თავი. სახლ-კარი და ქონება რეზომ ჩაიგდო ხელში.

რეზო ლურჯუმელია საშემოსავლო გადასახადს 0,25 ჰექტარ ნაკვეთზე იხდის, სინამდვილეში კი ერთ ჰექტარ მიწას ფლობს. ალბათ, ამიტომ არც სცალია მას კოლმეურნეობაში სამუშაოდ. საერთოდ, ისიც საკითხავია, რა საფუძველზეა ის კოლმეურნეობის წევრი და სხვების თანაბრად რად სარგებლობს კოლმეურნის ყველა უფლებით.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მის შრომით საქმიანობას უკვანასკნელი 9 წლის მანძილზე.

სამი წლის მანძილზე (1953—1955) რეზოს შრომადღების აღრიცხვას არითმეტიკის არც ერთი რიცხვი არ დასჭირვებია. 1956 წელს 5 შრომადღე გამოიმუშავა და „ფრიადოსანი“ გახდა მომდევნო წელს 55 შრომადღე ჩაიწერა წიგნაკში. ხოლო მისი შრომის გრაფიკზე აღმართული ხაზი ზენიტში 1958 წელს ავიდა და 127 შრომადღეს მიაღწია.

კოლმეურნეთა შორის მითქმა-მოთქმა დაიწყო. ყველას უკვირდა, კაცი სამუშაოზე არ დადიოდა, დღედაღამე „პარიპარაღეს“ გასძახოდა და აქ კი, შრომის წიგნაკში, უშრომლად 127 შრომადღე ეწერა.

მალე ყველაფერი გაირკვა. რეზოსათვის ამ ბედნიერ წელს ბრიგადირად მუშაობდა მისი ძმა ევტინი ლურჯუმელია, რომელმაც ანდაზა „ძმა ძმისთვის, შავი ღლისთვისო“, ასე თარგმნა: „ძმა ძმისთვის შრომადღისთვისო“. რეზო ქეიფობდა, ხოლო მისი ძმა ავტომატური კალმით ავტომატურად უწერდა შრომადღებს. ბოლოს გაუგეს ევტინის და ბრიგადირობიდან მოხსნეს. სწორედ ამ დღიდან რეზოს შრომის გრაფიკზე აღმავალმა ისარმა მორცხვად დახარა თავი და 1958 წლის 127 შრომადღიდან 1961 წელს 44 შრომადღემდე ჩამოეშვა ცხვირი.

რეზოს ძმის, ევტინი ლურჯუმელიას, მოღვაწეობაში ერთი რამ კიდევ არის გასარკვევი. ვის ეკუთვნოდა ის „მოსკვიჩი“, რომლითაც ის დასეირნობდა, ვის ეკუთვნოდა „პობედა“, რომელზეც შემდეგ გადაინაცვლა და ვისია „ვოლგა“, რომლითაც ამჟამად მგზავრები გადაჰყავს და შემოსავლის წყაროდ აქვს გადაქცეული?

რეზო ლურჯუმელიას ყველა დანაშაულის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ ის „გმირობა“ მაინც გვინდა მოვიგონოთ, კოლმეურნეობას რომ 100 კილოგრამი ბალი მოპარა, ბაზარში გაყიდა და აღებული ფული, რომ იტყვიან, დაამლერა.

არც ის გვინდა დავივიწყოთ, რომ მასზე გაბირონებული 800 ძირი ვენახი „საუკეთესო მოვლით“ სანახევროდ გამეჩხერდა და, თუ ასე უპატრონოდ დარჩა, მალე მთელი ნაკვეთი მელოტი კაცის თავს დაემსგავსებდა.

ერთი რამ უნდა გაითვალისწინოთ ამხანაგებმა. სპეკულანტობასა და უსახელო წერილების წერას ხომ უნდა დრო? მთელი დღე სოფლის მალაზიის წინ დგომასა და ხალხის აბუჩად აგლებას ხომ უნდა ენერგია?


ჰოდა, ცოდვას რეზო, ვიდრე წაიქცოდეს და ილაჯი გაუწყდებოდეს, დავასვენოთ, ოღონდ, წყალტუბოში კი არა, სადმე უფრო შორს, რომ მისი „დასვენებით“ ხორცმეტი მოშორდეს საკოლმეურნეო სოფელს და დაისვენონ მშრომელებმა.

6. ნუჭრიძე

ნახ. ზ. წერეთლისა



— მეგობარო, ხომ არა გაქვთ ცოლისათვის 33 ნომერი ტუფლი მინდა!
— ვაჰ, რა პატარა ფეხი ჰქონია!
— სამაგიეროდ ენა აქვს ღილი!



რა გინდა, სულო და გული, რომ ბიცოლა ნადიას არა სჭირდა. სნეულბათა სიმრავლით, თავს მოსაჭრელად დავდებ, თუ მთელ ღუნიზე ბადალს ვინმე უპოვიდა.

რადიკულიტიც მას სჭირდა და კოლიტიც, ნეგრასტენიაც და გულის მანკიც, მალარიაც და რევმატიზმიც.

ახლაც ექიმის წინ ოხრავდა:

— ვკვდები, ექიმო, მი—შვე—ლე! — ძლივს წარმოთქვა საცოდავმა, სავარძელზე დაეშვა და უსიცოცხლოდ ჩამოეკიდა ხელები.

ექიმმა სასწრაფოდ მიაწოდა დამამშვიდებელი წვეთები და თხოვა, დალიეო.

ბიცოლა ნადიამ ხელები გაასავსავა; — რა არ დავლიე, მაგრამ არაფერი მშველის, ეს—ეს არის, ჩემი სულის ამოხდას ჟამი დადგა, ჩემი საკუთარი თვალით ვხედავ.

— ინფარქტთან რა დამოკიდებულებაში ხართ? — ჰკითხა ექიმმა და უღვაშებში ჩაიციანა.

— ძალიან კარგ დამოკიდებულებაში, იმას ვენაცვალე, ძალიან გულისხმიერი აღამიანია, კეთილი, პატიოსანი, ერთი სიტყვით, ნამდვილი სიტყვის კაცი და ჩვენი ოჯახის ერთგული მეგობარი.

— როგორ? — გაიოცა ექიმმა, — თქვენ რაღა-

ცა გეშლებათ, ინფარქტი ხომ გულის ავადმყოფობაა.

— ჰო, ავადმყოფობაა, იმას ისე გაუწყალდეს გული, როგორც მე გამიწყალა, ერთი ათჯერ მაინც მემართება თვეში და არ მომეშვა, წამლებით გავიჭყიბე, მაგრამ არაფერი მეშველა.

ნადიამ ზიზღით მოსვა დამამშვიდებელი წვეთები და თითქო გულზე მოეშვაო.

— მგონი გამიარა!.. თქვენი ჭირიმე, გამომიწერეთ ეს წვეთები და... ცნობაც მომეცით.



— რა ცნობა?

— რა და, რომ სუსტი ვარ, სნეული.

— ასეთ ცნობას მოთხოვნის საფუძველზე ვიდევით მარტო.

— მოთხოვნის მეტი რა არის, ბატონო? რატომ არც შენ მუშაობ და არც შენი ქმარიო, გააწყალეს გული. ავადმყოფობა ცალკე მიღებს ბოლოს და ეგ აბეზარი ხალხი ცალკე.

— თქვენი მეუღლე მაინც რატომ არ მუშაობს?

— სადა სცალია, ბატონო, საყვარელი ცოლი სულთშობრძავი ვყავარ და სამუშაოსთვის მოიცლის? გვერდებში გამჯდარი მაქვს, წელი გაკავებული, ფეხები გაფშოკინებული, დავილიე, ჩამოვხმი ქალი, — წამოიკვნესა ბიცოლა ნადიამ და მსუქან თეძოზე ფაფუკი ხელი მოისვა.

— გასაგებია, გასაგებია, — უცებ თითქო მოღბა ექიმო, — გავცემ ცნობას, ქალბატონო, რასაც მოთხოვენ. არ დავიზარებ. ყველაფერს ჩავწერ...

— დიდი მადლობელი ვიქნებით, თქვენი ჭირიმე, თქვენისთანა არავინ გვეყოლება, თქვენ იქნებით ჩვენი ღმერთი, მხსნელი, მესია, სიცოცხლეს გვაჩუქებთ, გვიხსნით მეც, ჩემს მეუღლესაც, აგვაშენებთ დაგვასახლებთ, სულ თქვენი მსახური ვიქნებით, ჩვენც ხალხნი ვართ, — გაიკრიფა ნადია ენად.

* * *

შინ რომ დაბრუნდა, ელდა ეცა ქიშკარზე უბნის მილი-

ციელი და ფინისსპექტორი აბრახუნებდნენ რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

— რა გნებავთ? — იკითხა ბიცოლა ნადიამ და კინალამ ჩაიკეცა.

— თქვენი «საოჯახო მეურნეობა» გვიდა და-ვათვალეერთო, — ჯიქურ მიახალა მილიციელმა.

— ჩვენი მეურნეობა? რასა ბრძანებთ, რა მეურნეობა უნდა გეგონდეს, ბატონო, მე სნეული ქალი ვარ, ავადმყოფი, დაჩაჩანაკებული, ჩემი მეუღლეც ჩემზე უარეს დღეშია...

ფინისსპექტორმა და მილიციის მუშაკმა დაჟინებით მოითხოვეს ჭიქკრის გაღება და უცებ...

თავბრუ დაესხა ნადიას, გადაფიჩინდა, და ის—ის იყო უნდა წაქცეულიყო, რომ ხელი სტაცეს და მოლზე წამოაწვინეს გულშელონებული... სასწრაფოდ გამოუძახეს ექიმს...

ოფლისაგან გახვითქულმა ექიმმა შპრიცი მოიმარჯვა და ნემსის გასაკეთებლად გაეშადა, რომ, სად იყო და სად არა, მოვარდა ნადიას მეუღლე და იკითხა, რა ამბავია ჩემს თავსო?

— არაფერი, გული შეუღონდა თქვენს მეუღლეს და ახლაც მოვებრუნებთ, ნემსს გაეუკეთებთ.

— რისი ნემსი, რა ნემსი?

— გულის სისუსტის საწინააღმდეგო.

— გულის? რამ დაუსუსტა გული? ნადია, ნადია, — მივარდა იგი მეუღლეს, — ნადია, თვალი გაახილე, ქალო, რა იყო, რა მოხდა? რაო, მეურნეობა უნდა დაათვალეერთო? დაათვალეერთო, შე ქალო, მე უკვე მოგვლე ბოლო ჩვენს «მეურნეობას»,



გასაყიდად და სასაქულაციოდ ჩამორეკილი საქონელი ხორცის დამზადებაში ჩავაბარე უკვე, მეც მოგეწყვე სამუშაოზე, მომწყინდა, მეყო ამდენი უქნარობა და ყალბაბანდობა...

ნადიამ ფართოდ გაახილა თვალები, მერე წამოხტა გამეხებული, ველური თვალებით მიაჩერდა მეუღლეს და იყვირა:


— რ—რაო?

* * *

ახლა ბიცოლა ნადია სალსალამათი ქალია, არც გულს უჩივის და არც თავბრუს, არც რევმატიზმს და არც ნიკრისის ქარებს... სხვებთან ერთად მუშაობს საკოლმეურნეო მინდვრებზე და თავს თქვენზე და ჩემზე უკეთესად გრძნობს.

ვიქტორ შროლოვი

ნახ. ა. კანდელაკისა



— აბა, კარგი თევზი იაფად!

— კი მარა, კული რომ მოგლეჯილი აქვს!

— დინამიტითაა ბატონო, დაჭერილი!

მკითხველებს ასოვთ გასულ წელს ნიანგის მიერ თქვეს შე... ნომერში გამოქვეყნებული წერილი სათაურით: «კომბინატის კომ- ბინატორი». მასში მოთხრობილი იყო მცხეთის რაიონის ადგი- ლობრივი მეურნეობის კომბინატის დირექტორის გაქნილი კომ- ბინატორის დიმიტრი კობეშვიძის მრავალი დანაშაულის შე- სახებ.

ხუთჯერ დაიძვრინა თავი დიმიტრიმ სხვადასხვა დროს და ახლა, როდესაც თვითონაც არ ეგონა, ამ „ფრიალოსანი“ კომბი- ნატორის კოკამ აღარ მოიტანა წყალი და გატყდა.

გაქნილ კომბინატორს დიმიტრი კობეშვიძეს სასამართლომ 2 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

* * *

გასული წლის აგვისტოში ნიანგმა თავის მე-16 ნომერში დაბეჭდა მასალა სათაურით — „განა ეს არის ამხანაგობა?“ წერილი შეეხებოდა თბილისის მთელ რიგ საბინაო-სამშენებ- ლო კოლხეპრატეებში არსებულ მდგომარეობას და ამხელდა იქ მოკალათებულ კომბინატორებსა და წამგლეჯებს.

მიმდინარე წლის მე-3 ნომერში ნიანგმა ამცნო მკითხველებს, რომ პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მიერ დაბა- ტიმრებულ იქნენ წერილში დასახელებული გაქნილი კომბინატო- რები და წამგლეჯები.

აღნიშნული ნომრის იმავე გვერდზე დაბეჭდილი იყო მასალა სა- თაურით „ვინ არია საქმე“. წერილი შეეხებოდა № 65 ამხანაგო- ბაში შექნილ მდგომარეობას. აღნიშნულ ამხანაგობაში შეტყრნენ და მოიკალათეს წამგლეჯებმა და სპეკულანტებმა. აქ რამდენიმე თავმჯდომარე მოიხსნა და გაირიცხა ამხანაგობიდან. მათი მუ- შაობის დროს აირია საქმე და ზოგიერთის მიმართ პროკურა- ტურისა და სხვა ორგანოების მიერ მიღებულია ზომები.

ვ. დარახველიძემ კი არ არია საქმე, როგორც ეს წერილის სათაურიდან გამომდინარეობს, არამედ მემკვიდრეობით მიიღო მან ასეთი მდგომარეობა.

წერილში აღნიშნული იყო, რომ ვ. დარახველიძემ ამხანაგო- ბაში შესვლის შემდეგ გაპყიდა კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინაო. დაზუსტების შედეგად აღმოჩნდა, რომ მან გაპყიდა არა სამოთახიანი, არამედ ოროთახიანი (25 კვ. მეტრი) საკუთარი ბინა.

ამასთანავე სწორია ის ფაქტი, რომ ვ. დარახველიძე, სხვებ- თან ერთად, შესახლდა ამხანაგობის დაუმთავრებელ სახლში.



- სად მიდიხარ, გოგო?
- დღეს ტერფას დაბადების დღეა!
- ყოველ საღამოს დაბადების დღეზე უნდა...



ქართულ-ქვე-რეაქული ლექსიკონი

დისერტაციას იცავდა ბიოლოგი აკაკი, თემა იყო მეტად რთული: — „როგორ ხტუნავს ბაყაყი“. ოპონენტად დაუნიშნეს სასიამაორო კოლია, მან აღნიშნა: „რომ ნაშრომში ყველაფერი სწორია... შემე რჩევა ეს იქნება, წეროს კუბოს ფიცრამდე. დე, გვენახოს, ამ თემაზე სადოქტოროს იცავდეს“. დავა სულაც არ დაიწყეს არც დრო ჰქონდათ ამისი, და აკაკის მიანიჭეს კანდიდატის ხარისხი.

საქართველო



რ. ხვანიძე

- განაყოფი—ქვე-განაყოფი.
- განყოფილება— ქვე-განყოფილება.
- თავი—ქვე-თავი.
- კომიტეტი—ქვე-კომიტეტი.
- მეხი—ქვე-მეხი.
- ოსტატი—ქვე-ოსტატი.
- ჯანგი—ქვე-ჯანგი.
- სადგური—ქვე-სადგური.
- ტექსტი—ქვე-ტექსტი.
- ყანა—ქვე-ყანა.
- წარმავალი—ქვე-წარმავალი.

შეადგინა ტ. გომართილაძე

რედაქტორი ნ. შველიძე. საკრედიტო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე. საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ннанги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 28/III-1962 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 646, უფ 02475 ტირაჟი 40000



დახველეთ დიპლომატიის პოზიცია განიარაღების
საკითხში, ანუ ცეცხლთან თამაში.